ISSN 1512-4649(Print)
ISSN 2667-9752(Online)

შოთა ვეშაპიძე – 70

ჩვენი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ბატონი შოთა ვეშაპიძე იუბილარია. მას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

პროფესორი შოთა ვეშაპიძე დაიბადა 1954 წლის 20 სექტემბერს, საქართველოში, საგარეჯოს რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტი) სოფ. კაკაბეთში. იქვე დაამთავრა ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა. 1972 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა 1977 წელს. 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდის პრობლემებზე, ხოლო 2000 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე – „ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური შეხედულებანი და თანამედროვეობის აქტუალური პრობლემები“ და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 2002 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით შოთა ვეშაპიძეს მიენიჭა პროფესორის წოდება.

ბატონმა შოთამ მთელი თავისი საქმიანობა ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებას, ეკონომიკური მეცნიერების პოპულარიზაციასა და სწავლებას მიუძღვნა. მისი მეცნიერული კვლევის სფეროებია: ეკონომიკური თეორია, ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია, ეროვნული უსაფრთხოების, ეკონომიკური გლობალიზაციის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, მსოფლიო ეკონომიკის პრობლემები. არის 200–მდე სამეცნიერო ნაშრომის და პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი, გამოქვეყნებული აქვს 7 მონოგრაფია, მათ შორის: “ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები“ (1999), “კაცობრიული ღირებულებები ეკონომიკური ხედვით“ (2018), The Modern Economy and Values. Cambridge Scholars Publishing, (2022, თანაავტორი). „საქართველოს თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (2024, თანაავტორი). გამოცემული აქვს სალექციო კურსები, დამხმარე სახელმძღვანელოები, რიდერები: „ეკონომიკის საფუძვლები“, „ლიბერალური ეკონომიკის თეორია,“ „ლოჯისტიკა“, „მსოფლიო ეკონომიკა“, „საერთაშორისო ეკონომიკა,“ „გეოეკონომოკა“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“, „საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია“, „ქართული ეკონომიკური აზრის ისტორია.“ ის არის 30–მდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მონაწილე.

პროფესორი შოთა ვეშაპიძე არის საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის (პრეზიდენტი – პოფესორი, აკადემიკოსი მიხეილ ჯიბუტი) ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი, მეცნიერთა საბჭოს (თავმჯდომარე – პროფესორი ლოიდ ქარჩავა) წევრი, უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციის (თავმჯდომარე – მეცნიერებათა დოქტორი, ბესიკ ობოლაძე), ექსპერტი, ჟურნალების – „ახალი ეკონომისტი,“ „ბიზნეს ინჟინერინგი,“ „სოციალური ეკონომიკა XXI საუკუნის პრობლემები“ – სარედაქციო კოლეგიის წევრი.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მუშაობის პერიოდში (2009–2018), შოთა ვეშაპიძე იყო ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით, დაცულია 11 სადოქტორო დისერტაცია, 60–მდე სამაგისტრო და მრავალი საკურსო ნაშრომი, მომზადებულია სტუდენტთა საკონფერენციო ნაშრომები, რეცენზირებულია მრავალი სადოქტორო დისერტაცია და სამაგისტრო ნაშრომი.

2011 –2018 წლებში შოთა ვეშაპიძე იყო დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი (კონკურსის წესით). 2017 წელს სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულების, სამაგალითო დისციპლინის გამოვლენისა და აკადემიის სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის დაჯილდოვდა საპატიო სიგელით.

2019 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიამ, ქართული ეკონომიკური აზრის განვითარებაში, ეკონომიკური მეცნიერების პოპულარიზაციასა და სწავლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, შოთა ვეშაპიძე დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

ბატონი შოთა ვეშაპიძე ჩვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრია 2007 წლიდან, სადაც მრავალი საინტერესო სტატია აქვს გამოქვეყნებული და დღემდე აქტიურად თანამშრომლობს. ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით ვულოცავთ ბატონ შოთას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და კვლავაც მრავალ წარმატებას სამეცნიერო-პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და პირად საქმიანობაში.

ჟურნალის სარედაქციო საბჭოს სახელით,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
პროფესორი, ჟურნალ „The New Economist“
(ახალი ეკონომისტის) მთავარი რედაქტორი,
ლოიდ ქარჩავა